

9

სექტემბერი
September

12:00

Marc Bouchkov / violin
Mischa Maisky / cello
Lahav Shani / piano

Ludwig van Beethoven (1770 - 1827)

Sonata for Violin and Piano No. 7 in C Minor, Op. 30 No. 2

Allegro con brio

Adagio cantabile

Scherzo. Allegro

Finale. Allegro

Sonata for Cello and Piano No. 2 in G Minor, Op. 5 No. 2

Adagio sostenuto e espressivo - Allegro molto più tosto presto

Rondo. Allegro

Felix Mendelssohn (1809-1847)

Trio for Violin, Cello and Piano No. 1 in D Minor, Op. 49

Molto allegro ed agitato

Andante con moto tranquillo

Scherzo. Leggiero e vivace

Finale. Allegro assai appassionato

მარკ ბუჩკოვი / ვიოლინო მიშა მაისკი / ჩელო

ლაჰავ შანი / ფორტეპიანო

ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი (1770 - 1827)

სონატა ვიოლინოსა და ფორტეპიანოსთვის No. 7 დო მინორი, თხზ. 30

No. 2 Allegro con brio

Adagio cantabile

Scherzo. Allegro

Finale. Allegro

სონატა ჩელოსა და ფორტეპიანოსთვის No. 2 სოლ მინორი, თხზ. 5 No.

2 Adagio sostenuto e espressivo - Allegro molto più tosto presto

Rondo. Allegro

ფელიქს მენდელსონი (1809-1847)

ტრიო ვიოლინოს, ჩელოსა და ფორტეპიანოსთვის No. 1 რე მინორი,
თხზ. 49

Molto allegro ed agitato Andante con moto tranquillo Scherzo. Leggiero e
vivace Finale. Allegro assai appassionato

ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი

სონატა ვიოლინოსა და ფორტეპიანოსთვის No. 7 დო მინორი, თხზ. 30 No. 2

სავიოლინო სონატა No. 7 მეორეა ბეთჰოვენის თხზ. 30-ში შემავალ სონატებს შორის. ნაკრები, რომელიც რუსეთის მეფე ალექსანდრე I-ს მიეძღვნა, 1803 წელს გამოქვეყნდა სათაურით "სამი სონატა ფორტეპიანოსთვის ვიოლინოს თანხლებით". ბეთჰოვენი მიჰყვა მეთვრამეტე საუკუნის ტრადიციას, რომლის მიხედვით ამ ტიპის ნაწარმოებების სახელწოდებებში წინ ფორტეპიანო გამოდიოდა. თუმცა მუსიკა ორი ინსტრუმენტის თანაბარ პარტნიორობაზე დაფუძნებული. მეშვიდე სონატა ათი სავიოლინო სონატიდან ერთადერთია, რომელიც ბეთჰოვენმა მისთვის ესოდენ მნიშვნელოვან ტონალობაში შექმნა. როგორც პიანისტი და მუსიკისმცოდნე ჩარლზ როუზენი წერს, „ყველა ცალკეულ შემთხვევაში დო მინორი ავლენს ბეთჰოვენს როგორც გმირს. ის არ წარმოაჩენს კომპოზიტორს მეტად დახვეწილი მხრიდან, მაგრამ ამ ტონალობაში ბეთჰოვენი წარმოგვიდგება ყველაზე ექსტროვერტული ფორმით, როცა მისთვის მიუღებელია ნებისმიერი სახის კომპრომისები.“ ოთხნაწილიანი სონატა ერთ-ერთი ყველაზე დრამატული და სიმფონიური მასშტაბის ქნილებაა სავიოლინო რეპერტუარში. თუ გავითვალისწინებთ, რომ ბეთჰოვენს სონატის შექმნისას უკვე ტანჯავდა დაქვეითებული სმენა, მეშვიდე სონატაში ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი მართლაც რომ ჭეშმარიტ გმირად გვევლინება.

ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი

სონატა ჩელოსა და ფორტეპიანოსთვის No. 2 სოლ მინორი, თხზ. 5 No. 2

ორი ჩელოს სონატისგან შემდგარი თხზ. 5 ასევე ეძღვნება სამეფო ოჯახის წარმომადგენელს. 1796 წელს ბერლინში სტუმრობისას ბეთჰოვენი შეხვდა პრუსიის მეფეს ფრიდრიხ ვილჰელმ II-ს, რომელიც მუსიკის დიდი მოტრფიალე და მოყვარული ჩელისტი გახლდათ. საინტერესოა, რომ ბეთჰოვენამდე მას ჰაიდნმა მიუძღვნა თავისი ექვსი კვარტეტი, თხზ. 50. თუმცა, მეფეს თავად არ დაუკრავს ბეთჰოვენის სონატები. მათი პრემიერა სამეფო კარის მთავარის ჩელისტის, იმ დროის წამყვანი ვირტუოზის ჟან-ლუი დუპორტის შესრულებით შედგა. ფორტეპიანოსთან თავად ბეთჰოვენი იჭდა. როგორც სავიოლინო სონატების შემთხვევაში, ფორტეპიანო დომინირებდა მე-18 საუკუნის ჩელო სონატებშიც. თუმცა თხზ. 5-მა, განსაკუთრებით ნაკრების მეორე სონატამ, შეცვალა ეს სიტუაცია. ამერიკელი ჩელისტის სტივენ ჯეფრი გეითსის თქმით, „თუ პირველ სონატაში ჩელო ძირითადად თანხლებას უწევს ფორტეპიანოს და ბევრ ტაქტში ისვენებს, მეორე სონატაში იგი უკვე ჭეშმარიტ სოლისტად წარმოგვიდგება“.

ფელიქს მენდელსონი

ტრიო ვიოლინოს, ჩელოსა და ფორტეპიანოსთვის No. 1 რე მინორი, თხზ. 49

1839 წელს ფელიქს მენდელსონმა გადაწყვიტა, რომანტიზმის ეპოქაში შედარებით ნაკლებად პოპულარული საფორტეპიანო ტრიოს ჟანრისთვის მიემართა. მენდელსონმა კომპოზიცია პირველ რიგში წარუდგინა თავის მეგობარს, კომპოზიტორსა და პიანისტს ფერდინანდ ჰილერს. ჰილერს ძალიან მოეწონა ტრიო, თუმცა მის ერთ ნაკლს გაუსვა ხაზი: "ზოგიერთი პასაჟი, დაფუძნებული მარტივ დაშლილ აკორდებზე, გულწრფელად რომ ვთქვათ, ძველმოდურად ჟღერდა", - იხსენებდა ფრედერიკ შოპენისა და ფერენც ლისტის მეგობარი ჰილერი, რომელმაც კარგად უწყოდა, რომ "ახალი საფორტეპიანო სკოლის ძირითადი მახასიათებელი პასაჟების სიმდიდრეა". მენდელსონმა გაითვალისწინა მეგობრის რჩევა და თავიდან ბოლომდე გადააკეთა საფორტეპიანო პარტია, გახადა რა

იგი ბევრად უფრო ვირტუოზული და წარმომადგენლობითი. ტრიოს პრემიერის შემდეგ მენდელსონის თანამედროვეებმა - ფანი ჰენზელმა და რობერტ შუმანმა შექმნეს სტილისტურად მსგავსი და ამავე ტონალობის საფორტეპიანო ტრიოები, რაც მენდელსონის თხზ. 49-ს რომანტიკული საფორტეპიანო ტრიოს თავისებურ პროტოტიპად აქცევს. შემთხვევით არ უწინასწარმეტყველა მას იმავე რობერტ შუმანმა ბრწყინვალე და წარმატებული მომავალი: "ეს არის ჩვენი დროის სანიმუშო ტრიო... განსაკუთრებით დახვეწილი თხზულება, რომელიც მომავალში არაერთხელ მოუტანს სიხარულს ჩვენს შვილიშვილებსა და შვილთაშვილებს". ისტორიამ ცხადყო, რომ შუმანი მართალი იყო.

ამ დროს საქართველოში...

1839 წელს დიდმა ქართველმა პოეტმა ნიკოლოზ ბარათაშვილმა მიუძღვნა ეკატერინე ჭავჭავაძეს - მისი ცხოვრების უდიდეს სიყვარულს - ლექსი სახელწოდებით "...ნა ფორტეპიანოზედ მომღერალი". ეკატერინე გახლდათ ალექსანდრე ჭავჭავაძის - ქართული რომანტიზმის ფუძემდებლისა და წინანდლის მამულის მფლობელის ქალიაშვილი. საინტერესოა, რომ ფორტეპიანოს ჰანგებმა საქართველოში პირველად სწორედ ალექსანდრე ჭავჭავაძის სასახლეში გაიჟღერა, როდესაც რუსმა დიპლომატმა, პოეტმა და კომპოზიტორმა ალექსანდრე გრიბოედოვმა საზღვარგარეთიდან ჩამოტანილი ინსტრუმენტი თავის დიდ სიყვარულს ნინო ჭავჭავაძეს მიართვა საჩუქრად. მას შემდეგ ევროპული კლასიკური მუსიკა ხშირად ჟღერდა წინანდალში, მათ შორის, ალექსანდრეს ულამაზესი ქალიაშვილების შესრულებით. საინტერესოა, რომ იმავე 1839 წელს ეკატერინე დაქორწინდა სამეგრელოს მთავარზე დავით დადიანზე. გულნატკენი ბარათაშვილი 1844 წელს, 27 წლის ასაკში გარდაიცვალა. სწორედ ეკატერინემ შეასრულა უმნიშვნელოვანესი როლი მისი შემოქმედების პოპულარიზებაში.

Ludwig van Beethoven

Sonata for Violin and Piano No. 7 in C Minor, Op. 30 No. 2

The Violin Sonata No. 7 in C minor is the second one of Beethoven's Op. 30 set that was dedicated to Tsar Alexander I of Russia and published in 1803 as "Three Sonatas for the Pianoforte with the Accompaniment of Violin." Beethoven followed the eighteenth-century tradition of bringing forward the piano in titles of works of this type, though the music exhibits the equal partnership of the two instruments. The Sonata No. 7 is the only Violin Sonata out of 10 composed in a key that was so significant for Beethoven. As pianist and scholar Charles Rosen writes, "in every case, it reveals Beethoven as a Hero. C minor does not show Beethoven at his most subtle, but it does give him to us in his most extrovert form, where he seems to be most impatient of any compromise." The four-movement C Minor Sonata is one of the most dramatic works of symphonic scope in the violinist's repertoire. Taking into consideration that he had already been tormented by increasing deafness, we can here truly witness music revealing Ludwig van Beethoven as a Hero.

Ludwig van Beethoven

Sonata for Cello and Piano No. 2 in G Minor, Op. 5 No. 2

The set of 2 Cello Sonatas Op. 5 is also dedicated to royalty. In 1796, while visiting Berlin, Beethoven met the King of Prussia Friedrich Wilhelm II, a passionate music-lover and amateur cellist. Interestingly, prior to Beethoven, Haydn dedicated his six quartets, Op. 50 to him. Though, the king did not play Beethoven's sonatas himself.

They were premiered at his court by his principal cellist, the leading virtuoso of the day Jean-Louis Duport with Beethoven himself sitting at the piano. As in case of violin sonatas, the piano was the dominating instrument also in cello sonatas of the 18th century. Though Op. 5, especially the second sonata of the set, changed this situation. According to American cellist Stephen Geoffrey Gates, “whereas in the first sonata the cello often accompanies the piano and has many measures of rest, in the second sonata it is treated more soloistically.”

Felix Mendelssohn

Trio for Violin, Cello and Piano No. 1 in D Minor, Op. 49

In 1839, Felix Mendelssohn, turned to a genre, quite neglected by his contemporaries and composed a piano trio. He showed his D-minor Trio to the composer Ferdinand Hiller. Hiller, impressed by the piece, still "had one small misgiving. Certain pianoforte passages in it, constructed on broken chords, seemed to me – to speak candidly – somewhat old-fashioned." A close friend of Chopin and Liszt, Hiller was aware of the fact that it was "the richness of passages which marked the new pianoforte school." Considering Hiller's suggestions, Mendelssohn rewrote the piano part, making it more virtuoso and representative. After the premiere of the piece, Fanny Hensel and Robert Schumann composed Piano Trios in D minor, thus making Mendelssohn's Op. 49 an archetype of Romantic piano trio. Not without reason, Robert Schumann predicted that the D-minor Piano Trio would have a brilliant and successful future: "This is the master trio of our age... It is an exceedingly fine composition which will gladden our grandchildren and great-grandchildren for many years to come." History proved him right.

Meanwhile in Georgia

In 1839, the great Georgian poet Nikoloz Baratashvili dedicated to Ekaterine Chavchavadze – the love of his life - a poem entitled "...na playing piano and singing". Ekaterine was a daughter of the poet Alexander Chavchavadze - the founder of Georgian Romanticism and the owner of Tsinandali Estate. Tsinandali was among the first venues in Georgia to host classical music events. For the first time in Georgia piano sounds were definitely heard there. The Russian diplomat, playwright and composer Alexander Griboyedov presented the instrument, brought from abroad, to his great love Nino Chavchavadze – the sister of Ekaterine. Since then, European classical music has often been performed in Tsinandali, by Alexander's beautiful daughters, among others. Interestingly, in the same 1839, Ekaterine married the Prince of Mingrelia, David Dadiani. The heartbroken Baratashvili died at age 27 in 1844. It was Ekaterine who played a vital role in popularizing his poetic works.